

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ
କେନ୍ଦ୍ର ସମ୍ପଦ ଏକାଡେମୀ

ସୁରକ୍ଷାଲିତ ବୋଲିଙ୍ଗ ସେବା ବୈଜ୍ଞାନିକ ପାଠ୍ୟକାରୀ ପାଠ୍ୟକାରୀ

K 36.464
K - 3

୦. ୧. ୫୨୯୩୬୦୧

ଓଜ୍ଞାକୁ ଅତ୍ୟାକୁଳିକା

ସୁରକ୍ଷାଲିତ ବୋଲିଙ୍ଗ
ପାଠ୍ୟକାରୀ


1950

სამართველოს ხერ სოცლის გენერალის სამინისტრო

ი. ა. გაგუა

ვეგანის მთავარი

K 36.464
3



ს ა ს მ ბ გ ა ბ ი
თბილისი — 1950

* ფუტკრის მთაბარობა

(ფუტკრის გადაყვანა ლალიანობაზე)

ცნობილია, რომ ერთი და იგივე მცენარე ყველგან ერთ-დროულად არ ჰყვავის. მცენარე თუ ფერდობის სამხრეთ და აღმოსავლეთ დაქანებაზე იმყოფება, უფრო აღრე აყვავდება, ვიდრე იგივე მცენარე, რომელიც ჩრდილოეთ ან და-სავლეთ მხარეს არის ამოსული. ბარში მცენარე უფრო აღრე ჰყვავის, ვიდრე იგივე მცენარე მთაში; ასევე, მშრალ აღგილას მყოფი მცენარე უფრო აღრე აყვავდება, ვიდრე ნოტიო აღგილას; ჩრდილოეთში მცენარეები გაცილებით გვიან იღ-ვიძებენ და მაშასადამე უფრო გვიან ჰყვავიან, ვიდრე სამ-ხრეთში და სხვ.

ამავე დროს, ერთ რომელიმე მიდამოში გაფრცელებულია და ხარობს ისეთი მცენარე, რომელიც აღრე ჰყვავის, მეო-რეში, მისგან ცოტაოდენი მოშორებით სხვა მცენარეები, რომე-ლიც უფრო გვიან ჰყვავის. ერთ რაიონში ერთი კულტურაა გაფრცელებული, მეორეში — მეორე, რომელიც პირველისაგან განსხვავებით სხვა დროს ჰყვავის და სხვ.

მცენარეულობის გაფრცელების ეს თავისებურება ფუტკრის ლალიანობის ვალის გასაგრძელებლად, საკვები ბაზის უკეთ გამოსაყენებლად და თაფლის გამოსაყლიანობის გასაღიდებ-ლად, გასული საუკუნის ნახევრიდან მეტუტკრეობის ტექნიკაში ფართოდ გამოიყენეს. მეფუტკრეებმა ფუტკარი გადაიყვანეს ერთი აღგილიდან მეორეშე, ერთი მცენარის ყვავილიდან მეო-რეშე, ბარილან — მთაში და პირიქით. ასეთ ლონისძიებას ფუტკრის მთაბარობას ევანით.

საბჭოთა კავშირში ფუტკრის მთაბარობას ფართო მასშტა-ბით დიდი ხანია მისდევენ ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ათი-


ათასობით ფუტკარი მატარებლით ან ამ მიზნისათვის, უფრო სამართლებრივი ურთიერთობის გადაცყავთ. აქ გაზაფხულზე ფუტკარი მიჰყავთ ჯერ შავი ზღვის სანაპიროებზე და ტყეებში, სადაც ფუტკარი აღრე გაზაფხულიდანვე ლონივრდება, შემდეგ გაღონიერებული ფუტკარი მინდორში ან მხესუმზირას ყვავილობაზე მიჰყავთ და შემდეგ კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე, სადაც მთის ყვავილები შედარებით გვიან ჰყვავიან. იმ შემთხვევაში, თუ კლიმატურ ან სხვა პირობების გამო ფუტკარმა ერთ ადგილას თაფლი ვერ აიღო, იგივე ფუტკარი მეორე-მესამე ადგილას აიღებს და ამიტომ ამ რაიონების საფუტკრეები იშვიათად რომ დაიმშნენ და პატრონს თაფლი არ მისცენ.

მეფუტკრეობის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა გამორკვევამ კრასნოდარის მხარეში დაადასტურა, რომ საფუტკრეებმა, რომელმაც ფუტკარი არ ამთაბარეს, თითოეულ ოჯახზე საშუალოდ მიიღოდა 10—15 კგ თაფლი, ხოლო მომთაბარე საფუტკრეების თითოეულმა ოჯახმა 40—45 კგ თაფლი მისცა კოლმეურნეობებს. აგრეთვე საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა უმრავლესობამ თაფლის და სანთლის მაღალი მაჩვენებლების მიღებას მთაბარობით მიაღწიეს.

ფუტკრის მთაბარობა საქართველოშიც გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში დაიწყო. პირველად მეაბრეშუმეობის საცდელ სადგურის საფუტკრის მთაბარობა დაიწყეს, რომელიც თბილისში იმყოფებოდა. თბილისში ხეხილის და მინდვრის დაყვავილების შემდეგ, იგნისის მეორე ნახევარში ფუტკარი სასომხეთში ლორი-ბაზბაკის და შემდეგ ლენინაკანის და არტიკის მიდამოებში მიჰყავდად, სადაც მთავარი ლალიანობა მთის ზონაში ივლისში იწყება და აგვისტოში მთავრდება. მეაბრეშუმეობის საცდელ სადგურის საფუტკრეს მიპახადეს თბილისის მსხვილმა მეფუტკრეებმა და ისინიც ფუტკარს სასომხეთში ამთაბარებდნენ, ფუტკრის მთაბარობა ხდებოდა მატარებლით, დახურულ ან ლია ვაგონებით.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების და მით უმეტეს საკოლმეურნეო საფუტკრეების ჩამოყალიბების შემდეგ, თბილისის და მის მახლობელ რაიონებიდან სასომხეთში

უკვი რამდენიმე ათასი ფუტკარი მიჰყავდათ სამთაბაროზე, რადგანაც იმ დროს შორს მანძილზე ფუტკრის გამოყენების ერთად-ერთი საშუალება რკინიგზა იყო, ამიტომ მთაბარობას აწარმოებდნენ მხოლოდ იმ საფუტკრეებისას, რომელიც რკინიგზის სადგურებთან და რკინიგზის ხაზის მახლობლად იმ-



ნახ. 1. თბილისის რაიონის მახარაძის სახ. კოლმეურნეობის საფუტკრე მთაში.

ყოფებოდნენ. რკინიგზის მუშა-მოსამსახურეებს, რომელთაც ფუტკარი ჰყავდათ აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის მახლობლად ან ქართლის რკინიგზის სადგურებზე, ფუტკარი ადრეულ ღალიანობაზე დასავლეთ საქართველოში მიჰყავდათ, სადაც ტყე, ბალი და აკაცია თითქმის ერთი თვით ადრე ჰყავის, ვიდრე აღმოსავლეთში. შემდეგ მაისის ბოლოსათვის ფუტკარი ისევ აღმოსავლეთ საქართველოში გადმოჰყავდათ მინდორ-ველის ან მთის ყვავილების ღალაზე.

საქართველოს სს რესპუბლიკის გეოგრაფიული და კლიმატური ნაირფეროვნება ზედმიწევნით ხელშემწყობ პირობებს ჰქმნის ფუტკრის მთაბარობისათვის განმეორებით ღალიანობის გამოსაყენებლად, რადგანაც ერთი და იგივე მცენარე

ერთ რაიონში და ხშირად სოფლსაბჭოში თუ დაიყვავრლება
განსაზღვრულ დროს, იგივე მცენარე მახლობელ რაიონში და
სოფლსაბჭოში 10—20 დღის შემდეგ აყვავდება, რაც საშუა-
ლებას იძლევა ამავე მცენარიდან ფუტკრის გადაყვანას გან-
მეორებით ღალიანობის მისაღებად.

არ არის ჩეენში ისეთი რაიონი ან კოლმეურნეობა, სადაც
ფუტკრის ორ ან მეტ ღალიანობაზე გამოყენება არ შეიძ-
ლებოდეს.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, ლანჩხუთის, მახარაძის, ზუგ-
დიდის, ქუთაისის, ზესტაფონის, ახალციხის, გორის, თბილი-
სის, საგარეჯოს, ბოლნისის, გარდაბნის, სიღნაღის, წითელ-
წყაროს, ლაგოდეხის, მცხეთის და სხვა რაიონებში ფუტკრებს
უკვე რამდენიმე წელიწადია განმეორებით ღალიანობაზე
ამთაბარებენ და იშვიათია ისეთი შემთხვევები, რომ მთაბა-
რობის შედეგად საფუტკრებიდან შემოსავალი არ მიიღონ.

თუ რამდენად ზრდის მთაბარობა საფუტკრის შემოსავალს
შემდეგი მაგალითებიდან ჩანს: ზუგდიდის რაიონის ყოფ.
ჩხორიას ბოლშევიკის სახელობის კოლმეურნეობის საფუტ-
კრეში 1948 წლის დასაწყისისათვის იყო 24 ფუტკრის ოჯახი;
ხანგრძლივი ~~გვალფების~~ გამო ფუტკარმა არათუ მისცა შემო-
სავალი კოლმეურნეობას, არამედ ფუტკრებმა ზამთრის მარაგე-
ბიც კი ვერ დააგროვეს,— ამ საფუტკრეში არც ნამატი მიუღიათ
იმ წელიწადს.

სულ სხვა სურათი იყო იმავე სოფლის ამს. ედანოვის სახე-
ლობის კოლმეურნეობის საფუტკრეში. ამ კოლმეურნეობაში
წლის დასაწყისისათვის იყო 70 ფუტკრის ოჯახი, საფუტკრე
ამთაბარეს წალენჯიხის რაიონში ცაცხის ყვავილზე. მიუ-
ხედავად იმისა, რომ ნაწილი ფუტკრის ოჯახებისა დაგვიანე-
ბით იყო მიყვანილი ცაცხვთან, საფუტკრე მაინც უზრუნველ-
ყოფილი იყო ზამთრისათვის უხევი საკვებით, მიიღო სრულ-
ფასიანი 15 ნაყარი და სასაქონლო თაფლი 1.500 კგ რაოდე-
ნობით.

გარდაბნის რაიონის სოფ. ნოვოულიანვკის, „ისკრა“-ს
სახელობის კოლმეურნეობის საფუტკრე, სადაც 100 ფუტკრის
ოჯახი იყო, 1948 წლის ზაფხულში ადგილზე ღალიანობის

დამთავრების შემდეგ გადაყვანილი იყო დმანისის რაიონში განმეორებით ღალიანობაზე, რის შედეგად კოლმეურნეობაში მიიღო 2.200 კგ სასაქონლო თაფლი და 26 სრულფასიანი ნაყარი, იმ დროს, როდესაც ოდგილზე დარჩენილ კაგანოვიჩის სახელობის საფუტკრიდან, სადაც 88 ფუტკრის ოჯახი იყო: მიღებულია მხოლოდ 950 კგ სასაქონლო თაფლი და 2 ნაყარი.



ნახ. 2. გარდაბნის რაიონის „ისკრა“-ს სახ. კოლმეურნეობის საფუტკრე აკაციის ტყეში.

იმ დროს, როდესაც ახალციხის რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობებში ხანგრძლივი გვალვების გამო, 1948 წელს სასაქონლო თაფლი თითქმის სულ არ მიიღეს, ქ. ახალციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის 50 ფუტკრის ოჯახმა მთაბარობის შედეგად,—1.620 კილოგრამი თაფლი მიიღო, ს. წყურუუთის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში 43 ოჯახი ფუტკრიდან—1.076 კგ, სოფ. ზემო-სხევილის, ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში 11 ფუტკრის ოჯახიდან—284 კგ, ქვემო-სხევილის ორჯონიქიძის სახ. კოლმეურნეობაში 106 ოჯახიდან—3.000 კგ, ხოლო სოფ. წყალთბილას წითელ მოსაზღვრის სახელობის კოლმეურნეობის 112 ფუტკრის ოჯახიდან მიღებულია 4.220 კგ თაფლი და სხვ.



พระบรมราชูปถัมภ์
สำนักนายกรัฐบาล

চিত্ৰ. ৩. সেলন্দিনি কালোমুস স্টেজ. প্র. বেন্ধুনি চান্দেলির মুহাম্মদ সাহেবের পুত্র প্রদীপেন্দ্ৰ।

1949 წელს, სიღნაღის რაიონში ხანგრძლივი გვალვები მაგრამ სოფ. ბოდბის ორჯონიქიძის სახელობის 200 ჰა ზისაგან შემდგარმა საფუტკრემ 30 ახალი სრულფასიანი ოჯახი; 3.000 კგ სასაქონლო თაფლი და 30 სათადარიგო დედა მიიღო, იმავ დროს საზამთრო მარაგები თითოეულ ოჯახში დატოვილი იქნა არა ნაკლებ 20 კილოგრამისა, იმიტომ, რომ ეს საფუტკრე დროულად გადაყვანილ იქნა ესპარცეტის ყვავილობაზე. ამავე დროს, მეზობელ სოფ. მაღაროს „ლენინის გზა“-ს სახელობის კოლმეურნეობაში 150 ფუტკრის ოჯახიდან ვერც ნაყარი და ვერც ერთი კილოგრამი სასაქონლო თაფლი ვერ მიიღეს; იმიტომ, რომ ფუტკარი მთელი ზაფხულის განმავლობაში ერთ ადგილზე იმყოფებოდა.

მთაბარობა სხვადასხვა დროს

ფუტკრის მთაბარობა ხდება სხვადასხვა დროს და ამიტომ დროის მიხედვით იგი სხვადასხვა მიზნით წარმოებს.

გვიან ღალიანობის მქონე რაიონებიდან (ივლისი-აგვისტო) ფუტკარი ადრე გაზაფხულზე დაბლობ, მეტ შემთხვევაში ტყიან ან ბალ-ბოსტნების მქონე რაიონებში გადაჰყავთ, სადაც ფუტკარი ადრე ღონივრდება; მეფუტკრეს იქვე გამოჰყავს ადრეული დედები და ნაყრები და კარგად გაძლიერებული ფუტკარი, გამზადებული მთავარი ღალის მისაღებათ, საშუალო ზონაში (მაისი-ივნისი) მინდვრის ღალიანობაზე გადაჰყავთ. როდესაც მინდორი დაიყვავილებს, ფუტკარი მთაში მიჰყავთ, სადაც ალპური მდელოების თაფლოვანი მცენარეებიდან უხვ და მაღალხარისხოვან თაფლს იღებენ.

მთიდან ფუტკარი კვლავ დაბლობში ჩამოჰყავთ, სადაც ხშირად საშემოდგომო ღალიანობა არის. აქ ფუტკრები ზამთრისათვის მარაგებს შეიისებენ და რაც უმთავრესია დედა ფუტკარი კვლავ განაახლებს კვერცხის დებას, რის შედეგად ზამთრისათვის ახალგაზრდა ფუტკრები დიდი რაოდენობით გამოიზრდებიან, ამას კი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ფუტკრის ნორმალურ დაზამთრებისათვის.

ასეთ მთაბარობას აწარმოებს მაგალითად თბილისის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა; მათ ფუტკარი

აღრე გაზაფხულზე ხილის ყვავილობაზე საკუთარ გამოში /
უდგათ. ხეხილის დაყვავილების შემდეგ (აპრილი) ფუტკარი
გადაჰყავთ გარდაბნის რაიონში—აქაციის ტყეში, რომელიც
მაისის პირველ ნახევარში ჰყვავის, აქედან ფუტკარი ისევ მინ-
დვრის და სათიბების ან ესპარცეტის ყვავილობაზე გადაჰყა-
ვთ, ივნისის ბოლოს კი—დმანისის, წილების რაიონში ან
სასომხეთის სსრ, კალინინის რაიონის მთიან ზონაში მიჰყავთ.
მთაში ღალიანობის დამთავრების შემდეგ მათ ფუტკარი ბოლ-
ნისის ან მარნეულის რაიონში თამბაქოს ან სხვა შემოდგომის
მცენარეების ყვავილობაზე გადმოჰყავთ.



ნაჩ. 4. აქაციის ყვავილობისთვის მიყვანილი საფუტკრე გარდაბნის
რაიონში.

ლაგოდეხის რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობას აღრეული
ბალების და ტყის ყვავილობის შემდეგ, ფუტკარი მინდორში
მიჰყავთ, შემდეგ კაგვასიონის კალთებზე ცაცხვის ტყეებში
და აქედან ალაზნის და წნორის მიდამოებში ცოცხზე, რო-
მელიც იგვისტოდან — ოქტომბრამდე ჰყვავის და თაფლსაც
დიდი რაოდენობით იძლევა.

ასევე ამთავრებენ აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონის, წი-
თელწყაროს, საგარეჯოს და სხვა რაიონების კოლმეურნეობები.

როგორც ზემოთ იღვნიშნეთ. ჩვენში სამთაბაროდ ყველა კოლმეურნეობას ხელსაყრელი პირობები აქვთ, მაგრამ ჯერ ყველან შესწავლილი არ არის, თუ როდის და საღ შეიძლება ფუტკრის მთაბარობა, რომ მთაბარობის გამოყენებით მეფუტკრეობა კოლმეურნეობებში უფრო შემოსავლიანი გახდეს.

ზოგი კოლმეურნეობის გამგეობები და მეფუტკრეებიც გაურბიან ფუტკრის მთაბარობას და არჩევენ ნაკლები შემოსავლის მიღებას, რაც რასაკვირველია სწორი არ არის.

ამ შემთხვევაში ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ბუნების დიდი გარდამშემნელის ი. ვ. მიჩურინის დიადი სიტყვები: „ჩვენ არ შეგვიძლია ველოდოთ ბუნების მოწყალებას; ჩვენი ამოცანაა წავართვათ იგი მას“.

ამიტომ ყველა პრაქტიკოსი მეფუტკრის და ჩვენი კვლევითი დაწესებულებების პირდაპირ ვალდებულებას შეადგენს—შეისწავლონ და გაუზიარონ ამა თუ იმ რაიონისათვის ფუტკრის მთაბარობისათვის ხელსაყრელი პირობები, ამ რაიონში თაფლოვანი მცენარეების გავრცელება, მათი ყვავილობის დაწყება და დამთავრება, ლალიანობის სიძლიერე, მისასვლელი გზების და ხილების ავკარგიანობა, იქ მყოფი ფუტკრის ოჯახების ჯანმრთელობა და სხვ.

ჩვენ ვეცდებით ქვემოთ მოყვანილ ცხრილში იღვნიშნოთ ჩვენი ქვეყნის მთაბარობის ძირითადი და ჩვენთვის უკვე ცნობილი გზები (იხ. ცხრილი).

ცხრილში აღნიშნული მთაბარობის ვადები და უმთავრესი თაფლოვანი მცენარეების ყვავილობის დრო რასაკვირველია მიახლოვებითია და წლების მიხედვით ცვალებადი. ამიტომ ეს ცნობები მხოლოდ სავარაუდოა; ყოველ ცალკე შემთხვევაში მოითხოვს, როგორც ყვავილობის ვადების დაზუსტებას, აგრეთვე თვით თაფლოვან მცენარეების შესწავლას.

ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორია მრავალფეროვანია, ახალი გზების გაყვანით და ავიოტრანსპორტის გამოყენებით სულ ახალი და ახალი სამთაბარო ადგილების გამოყენების საშუა-

✓
სამართლოს სას აინტელიგენციური ურთკარის მთაბარების სავარაუდო 80%ით

ს. ს. მ.	როგორის დახმარება -	შობების აღ- გადა	უმოაზეული თაფ- ლოვანი მცენარეები	ფრექვის სამოაზოდ გადაფუძნის დრო	შეას დაბრუ- ნება	 ვინა მინა დისტანციური
1	აუზაზეთის ასა რეკ- ლებლივა და პლო- ბი ზედის ნაშირა ზონა	ამავე რეკლებლივის ტექსტი ზონაში	ცავხვი, წაბლი	ივნისის და- საწყისში	ავტოსტრას ნახევრაში	
2	ამავე რეკლებლივის მოაზონ ზონა	ზედის ნაშირა ზონა- ში	აღმურა სილის და ქატეტესების ფაფულობა	ავტოსტრას ნახევრითან ან თებერ- ვალში	ივნისის და- საწყისში	სასურაკელია ფუტ- კარი წ. მარტიში დაბლობ ზონაში იმყოფებოდეს
3	აქტრის ასა რეკლებ- ლივა ქაფის, ბა- თუმის და ქომეტ- ლივის რაოგორების ჩატვლის ზონა	ზედის, ქვედის და ქო- მეტლივის რაოგორების ჩატვლის ზონა	ცავხვის, წაბლის და აღმურა მინ- ფაფტების ფაფუ- ლობაზე	ივნისის და- საწყისში	ავტოსტრას ბოლოს	ზედის რაოგორის და ქომეტლივის მაღლივი ზონის ფუტკარის ზამოზო- ნა ასასურაკელია დაბლობ ზედის ზო- ნაში
4	ზეფაფის რაოგორი	წალენჯიხის რაოგორ- ში, ქვემო და ზემო სეინინში	ცავხვის და წაბ- ლის ფაფულობაზე და აღმურა მინ- ფაფტებზე	ივნისის და- საწყისში	ავტოსტრას ბოლოს	
5	მინაზოდის რაოგორის დაბლობი ზონა	ამავე რაოგორის ტყიან ზონაში და ბაზმინის მოგზე	ცავხვი, წაბლი, აღმურა მინდვ- რები	ივნისის და- საწყისში	ავტოსტრას ბოლოს	

န ံ င ္ခ	လေကြမ်းနှင့်အပေါ် လျော့	မြန်မာစာတမ်း၊ အဖ- ားလု	ရုပ်သွေ့နှင့် စာဖ- ားလျော့၊ မြန်မာလျော့ နှင့်	စွဲပြုရှိနေး သော်စာတမ်းနှင့် နာဂါဏ်လျော့နှင့် နာဂါဏ်	ဥပဒေ လျော့ နှင့်	 ပြည်သူမှု ပြည်သူမှု နှင့် ပညာဝန်ကြုံ ပိုင်ဆိုရေး
6	လုပ်မြေသွေ့နှင့် လေကြ- မ်းနှင့် နာဂါဏ်လျော့ နှင့်	မီးသွေ့ လေကြမ်း လျော့နှင့် နာဂါဏ် နှင့် ပေါ်မြေသွေ့ မြေသွေ့	ပျော်စွဲ၊ နှာပေါ်၊ အလျော့စွဲ၊ မြန်မာ- လျော့	စွဲပြုရှိနေး သော်စာတမ်း	အောက်လွှာ ပေါ်မြေသွေ့	
7	ပြည်သူမှု၊ ပြည်- လုပ်မြေသွေ့၊ စာမျက်- နှာပေါ်၊ ပြည်သူမှု နှင့် ပြည်သူမှု နှင့် လေကြမ်း	မြန်မာစာတမ်း၊ လေကြမ်း လျော့နှင့် နာဂါဏ် လျော့နှင့် ပြည်သူမှု ပြည်သူမှု	ပျော်စွဲ၊ နှာပေါ် နှင့် အလျော့စွဲ၊ နာဂါဏ်- လျော့	မြန်မာ နှာ- ပေါ်၊ စွဲပြုရှိနေး သော်စာတမ်း	အောက်လွှာ ပေါ်မြေသွေ့	နေဂါဏ် စွဲပြုရှိနေး ပေါ်မြေသွေ့၊ ပြည်- သူမှုမြေသွေ့
8	မိမိလေလွှာလျော့နှင့် လေ- ကြမ်းနှင့် နာဂါဏ်- လျော့	မိမိလေလွှာလျော့နှင့် လေကြ- မ်း မြန်မာစာတမ်း (ပြည်သူမှု၊ ပြည်သူမှု ပြည်သူမှု)	ပျော်စွဲ နှင့် မြန်- မာစာတမ်းနှင့် ပြည်သူမှု	စွဲပြုရှိနေး သော်စာတမ်း	အောက်လွှာ ပေါ်မြေသွေ့	
9	စာမျက်နှာပေါ် စာဖား အုပ်စုမြေသွေ့၊ စာလု- ပေါ်နှင့် နာဂါဏ်- လျော့	မျက်နှာ နှင့် လျော့နှင့် ရှိနေး မြန်မာစာတမ်း	အလျော့စွဲ၊ နာဂါ- ဏ်လျော့နှင့် ပြည်- သူမှု	စွဲပြုရှိနေး သော်စာတမ်း	အောက်လွှာ ပေါ်မြေသွေ့	
10	နာမျက်နှာ လေကြမ်း နှင့် အပေါ် လျော့	မီးသွေ့ လေကြမ်း ပြ- န်မာစာတမ်း ဖြော်လျော့ အလျော့စွဲအုပ်စု ကုလာဏ်ပြု နှင့် မြန်မာစာတမ်း	ပျော်စွဲ၊ နှာပေါ် နှင့် မြန်မာစာတမ်း ပြည်သူမှု	စွဲပြုရှိနေး သော်စာတမ်း	အောက်လွှာ ပေါ်မြေသွေ့	
11	ပုဂ္ဂိုလ်မြေသွေ့နှင့် မြန်မာစာတမ်း နှင့် ပြည်သူမှု နှင့် ပြည်သူမှု	မီးသွေ့ လေကြမ်း မြန်မာ- စာတမ်း နှင့် ပြည်သူ- မှုနှင့် ပြည်သူမှု	အလျော့စွဲ၊ နာဂါဏ်- လျော့နှင့် ပျော်စွဲ	စွဲပြုရှိနေး သော်စာတမ်း	ပြည်သူမှု လေကြမ်း	

နှစ်	နယ်မြေနား ရွာအော်- လွှာ	မြတ်သွေးချိန် အေ- ဒီလာ	ပုဂ္ဂန်ကြံးမှု စာရွ- ှုံးနှင့် ပြုံးစုံနည်- း	ပုဂ္ဂန်ကြံး စောင်းဆောင်ရွက် နှင့် ပုဂ္ဂန်ကြံး လွှာ	ပျော် ဇာတ်- နှစ်	
12	ကျော်လွှာ နယ်မြေနား စွာပေါ်လွှာ အဖွဲ့- အကျော်လွှာ	အမြှေ့ နယ်မြေနား နွှေ့- လွှာ၊ ပြုံးစုံလွှာ၊ နှင့် စားပေါ်လွှာ မြေ- နယ်မြေလွှာ	ပုဂ္ဂန်ကြံး မှော်- စားပေါ်လွှာ ပုဂ္ဂန်- ကြံး	ကျော်လွှာ မြေနယ်မြေ နှင့် ပုဂ္ဂန်ကြံး	အဖွဲ့အကျော် လွှာ	ပြည်ထဲရေး
13	ကျော်လွှာ နယ်မြေနား စွာပေါ်လွှာ အဖွဲ့- အကျော်လွှာ	အမြှေ့ နယ်မြေနား အံ့- ပါး ပြုံးစုံ၊ ပုဂ္ဂန်- ကြံး၊ ပြုံးစုံလွှာ၊ နယ်မြေနား မြေနယ်မြေ	မြတ် နောက်လွှာ- နှောက် ပုဂ္ဂန်ကြံး	ကျော်လွှာ မြေနယ်မြေ နှင့် ပုဂ္ဂန်ကြံး	ပျော်ပြုံးစုံ နှင့် ပုဂ္ဂန်	
14	ကျော်လွှာ နယ်မြေနား စွာပေါ်လွှာ အဖွဲ့- အကျော်လွှာ	လျှော်စွဲလွှာ၊ နယ်မြေ- နား လွှာ နှင့် နယ်မြေနား ပျော်ပြုံးစုံ မြေနယ်မြေ- လွှာ	မြတ် နောက်လွှာ- နှောက် ပုဂ္ဂန်ကြံး	ကျော်လွှာ မြေနယ်မြေ နှင့် ပုဂ္ဂန်ကြံး	ပျော်ပြုံးစုံ နှင့် ပုဂ္ဂန်	
15	ပြုံးစုံလွှာ နယ်မြေ- နား	စွဲလွှာ နယ်မြေ- နား ပြုံးစုံလွှာ နှင့် ပုဂ္ဂန်ကြံး မြေနယ်မြေ- လွှာ	မြတ် နောက်လွှာ- နှောက် ပုဂ္ဂန်ကြံး	ကျော်လွှာ မြေနယ်မြေ နှင့် ပုဂ္ဂန်ကြံး	ပျော်ပြုံးစုံ မြေနယ်မြေ နှင့် ပုဂ္ဂန်	

ს. რიცხვი	როგორის დახმა- ტება	მომღერლის ად- გალი	უმოავტომა- ტიკის თავ- დოვანი მცენარე- ბი	ურტკრის სამოავტომა- ტიკის გადაუდანის დრო	უკან დახმა- ტება	 ეროვნული ბურტკრის მინისტრი
16	დუშეთის რაიონის ფაბლის მდგრად- ირეობა	ამავე რაიონის მდგრ- ადის და გუდამყრის მდგრადიების	მთას ნიონბალაზე ნის კუსებისა და გადაუდანის	უბისის მდგრ- ადის ნიხევარში	სექტემბრის პირველ ნიხევარში	დუშეთის რაიონის მთას წილიდან ფურტკრის უმოავ- ტომანი მარში და- საზოგადოებლად იქ- ნისმდე მიმდევ ლალიანობაზე გად- მოვარდი უნდა იქნას სექტემბრის დასწულის
17	ახალგონის რაიონის ფაბლის მდგრად- ირეობა	ამავე რაიონის მაღ- ლობი აფეთქების, ახალქალაქის და ბოგ- დანიელის რაიონებში	თელავი-სამცენარი, ქსაჩილები და მთას ნიონბალაზე- ბი, უმოავტომა- ნის მარშების და ნიჩე	უბისის ბოლოს	სექტემბრის ბოლოს	ამ რაიონების მაღ- ლობი მდგრადიებიდან დასასმინრებლად და აღრიცხულ საექ- სატერიტო დალია- ნობის გამოსავარებ- ლად ზოტკარი ჩა- ყავილ უნდა იყოს ნიჩე
18	ასპინის რაიონის ფაბლის მდგრად- ირეობა	ამავე რაიონის მაღ- ლობი აფეთქების, ახალქალაქის და ბოგ- დანიელის რაიონებში	რეკვ	.	.	

No.	რაიონის დახმატებულება	მთავრობის აღ- ნილი	უმთავრესი თავ- ლიფანი მცენარე- ბი	უმთავრესი სამთავრო გადაკვერც ური	უკან დაბრუ- ნების ფრთ	 მდგრადი ეროვნული პირის მიერაცხვა
19	ახალქალაქის და ბორჯომის რაი- ონებიდან	ახალქალაქის და ასპინ- ძის დაბლის აუგა- ლებში	სენილის ყვავე- ლობა, აღზრული მიწოდონ-ყლის ყვა- ვალებს ნათელი ერთეულები	სკრემბერის ბოლოს აქ- ცი დასახამ- ოსტებლად	ივნისის ბოლომდე	
20	ობილისის რაიონი- დან	აფშერონ და ლიანის მთა- ზე როის შეგნით, აკეთებე გარეუბნის და მარნეულის რაიონ- ში, მიწაზე ყვაველო- ბის აზოლისი, სივა- რკული, მოლებისი, რემ- ნი წყალის რაიონებში. გაიან დალიანისაზე; დაბანისა, წალკის, სომხეთის სო (კალა- ნინის რაიონებში). დუშეთის, თავისის და კახეთის რაიონებ- ში. თეთრმეტი მარ- ახალქალაქის და ბორ- ჯომის რაიონებში	ტეუტერეზუბის სენილის დასწელ- ში ფიტოფენი გა- დასცავთ სინილის ყვაველობაზე, ტემდედ აკაციაზე ას აფშერონ მინ- დობა ყლის ყვავე- ლობაზე, შემდეგ მთას ზონაში ალ- აზის ნაირბალაზე- ნის ყვაველობაზე	მარტის მეო- რე ნახევრი- დან	სკრემბერის ბოლომდე	

K 36.464

క్ర. నెం. పాఠ్య వ్యవస్థ అనుమతి	మాటలు లేదా కొన్సెప్చన్లు	పాఠ్య వ్యవస్థ అనుమతి	ప్రాథమిక శాఖలలోని ప్రాథమిక పాఠ్య వ్యవస్థ	ప్రాథమిక శాఖలలోని ప్రాథమిక పాఠ్య వ్యవస్థ	ప్రాథమిక శాఖలలోని ప్రాథమిక పాఠ్య వ్యవస్థ
21	సాగాన్ని కొనిపించి ఉపాధి ప్రాథమిక పాఠ్య వ్యవస్థ	పాఠ్య వ్యవస్థ అనుమతి కొనిపించి ఉపాధి ప్రాథమిక పాఠ్య వ్యవస్థ	ప్రాథమిక శాఖలలోని ప్రాథమిక పాఠ్య వ్యవస్థ	ప్రాథమిక శాఖలలోని ప్రాథమిక పాఠ్య వ్యవస్థ	ప్రాథమిక శాఖలలోని ప్రాథమిక పాఠ్య వ్యవస్థ
22	సిద్ధార్థుని కొనిపించి ఉపాధి ప్రాథమిక పాఠ్య వ్యవస్థ	పాఠ్య వ్యవస్థ అనుమతి కొనిపించి ఉపాధి ప్రాథమిక పాఠ్య వ్యవస్థ	ప్రాథమిక శాఖలలోని ప్రాథమిక పాఠ్య వ్యవస్థ	పాఠ్య వ్యవస్థ అనుమతి కొనిపించి ఉపాధి ప్రాథమిక పాఠ్య వ్యవస్థ	పాఠ్య వ్యవస్థ అనుమతి కొనిపించి ఉపాధి ప్రాథమిక పాఠ్య వ్యవస్థ



N/N/ နှစ်	လုပ်ငန်း နေရာများ လွှာ	ပြည်သူ့လုပ်ငန်း အဖွဲ့ ပြည်	ပြည်သူ့လုပ်ငန်း တာရု- လုပ်ငန်း ပြည်မှုနယ်- ဒေ	ပြည်သူ့လုပ်ငန်း ပြည်သူ့လုပ်ငန်း ကုန်ဆောင်ရွက်ခြင်း လုပ်	ပြည် ပုဂ္ဂန်- ပိုးပိုး လုပ်	 ပြည်သူ့လုပ်ငန်း ဝန်ကြီးမှုနယ်
23	နိုတ်လုပ်မှုနယ် နယ်ငါး	လုပ်ငန်း ပိုးပိုး	ပုဂ္ဂန်းပိုးပိုးလုပ်- ငန်းလုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း	ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်းများ	ပုဂ္ဂန်းလုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်းများ	
24	လေယာဉ်မှုနယ် နယ်ငါး	လုပ်ငန်း ပိုးပိုး	လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း	လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း	လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း လုပ်ငန်း ပုဂ္ဂန်း	

N o	ନାମକଣ୍ଠର ପ୍ରାଚୀନତା— ଲେଖକ	ମାନ୍ୟମାନିକାରୀଙ୍କ ଅଧି- ବଳକ	ଶରୀରକାରୀ ଓ ବ୍ୟାକାରୀ ମହିଳାଙ୍କରେ ଦେଖିବାରେ ଉପରେ ଉପରେ ଦେଖିବାରେ ଉପରେ	ପ୍ରକାଶକରଣକାରୀଙ୍କ ନାମକଣ୍ଠର ପ୍ରାଚୀନତା— ଲେଖକ	ପ୍ରକାଶକରଣକାରୀଙ୍କ ନାମକଣ୍ଠର ପ୍ରାଚୀନତା— ଲେଖକ	 ଓଡ଼ିଶା ସାହିତ୍ୟ ଏକାଡେମୀ ଓଡ଼ିଶା ସାହିତ୍ୟ ଏକାଡେମୀ
25	ପ୍ରମାଣିତ ରାଜନୀତି	ବ୍ୟାକାରୀଙ୍କ, ମାନ୍ୟମାନିକାରୀଙ୍କ ନାମକଣ୍ଠର ପ୍ରାଚୀନତା— ଲେଖକ	ଦୁଇକଣ୍ଠର ଦ୍ୱାରା ବ୍ୟାକାରୀଙ୍କ ମହିଳାଙ୍କରେ ଉପରେ ଉପରେ ଦେଖିବାରେ ଉପରେ ଉପରେ ଦେଖିବାରେ ଉପରେ ଉପରେ ଦେଖିବାରେ ଉପରେ ଉପରେ	ମାନ୍ୟମାନିକାରୀଙ୍କ ନାମକଣ୍ଠର ପ୍ରାଚୀନତା— ଲେଖକ	ପ୍ରମାଣିତ ରାଜନୀତି	ପ୍ରମାଣିତ ରାଜନୀତି ମହିଳାଙ୍କରେ ଉପରେ ଉପରେ ଦେଖିବାରେ ଉପରେ ଉପରେ
26	ବ୍ୟାକାରୀଙ୍କ ରାଜନୀତି	ପ୍ରମାଣିତ ରାଜନୀତି ଏବଂ ମାନ୍ୟମାନିକାରୀଙ୍କ ନାମକଣ୍ଠର ପ୍ରାଚୀନତା— ଲେଖକ	ବ୍ୟାକାରୀଙ୍କ ରାଜନୀତି ଏବଂ ମାନ୍ୟମାନିକାରୀଙ୍କ ନାମକଣ୍ଠର ପ୍ରାଚୀନତା— ଲେଖକ ଦୁଇକଣ୍ଠର ଦ୍ୱାରା ବ୍ୟାକାରୀଙ୍କ ମହିଳାଙ୍କରେ ଉପରେ ଉପରେ ଦେଖିବାରେ ଉପରେ ଉପରେ ଦେଖିବାରେ ଉପରେ ଉପରେ ଦେଖିବାରେ ଉପରେ ଉପରେ	ମାନ୍ୟମାନିକାରୀଙ୍କ ନାମକଣ୍ଠର ପ୍ରାଚୀନତା— ଲେଖକ	ପ୍ରମାଣିତ ରାଜନୀତି	ପ୍ରମାଣିତ ରାଜନୀତି ମହିଳାଙ୍କରେ ଉପରେ ଉପରେ

ლება გვეძლევა. ამას ზედ ერთვის სოფლის მეურნეობის კულტურების დანერგვა და თესლბრუნვაში ისეთი თაფლოფანი საკვებ ბალახების შეტანა, როგორიც არის ესპარცუტი, სამყურა, იონჯა და სხვ. ქარსაცავებისათვის, წყლის ნაპირების ნიაღაგის გამაგრებისათვის, გზების გამწვანებისათვის, ცოცხალი ღობებისათვის—ცაცხვის, აკაციის, ტირიფის, გლედიჩის, ნეკერჩალის, ფშატის და სხვა თაფლოვან მცენარეების დარგვით კიდევ უფრო ფართოვდება, უმჯობესდება და ნაირფეროვანი ხდება მეფუტკრეობის საკვები ბაზა.

ფუტკრის სამთაბაროდ ადგილის ზერჩევა

ფუტკრის მთაბარობისათვის ყველაზე გადამწყვეტია სამთაბარო ადგილის შერჩევა და ფუტკრის გადაყვანის ვადების დადგენა. ამიტომ სანამ ფუტკარს სამთაბაროდ წავიყვანდეთ, საჭიროა იმ ადგილის, საღაც განზრახული გვაქვს ფუტკრის წაყვანა, ზედმიწევნით შესწავლა.

სამთაბარო ადგილად უნდა შევარჩიოთ ისეთი ადგილი, საღაც მთავარი ღალიანობა არ ემთხვევა საფუტკრის ძირითადი აღვილის ღალიანობას. სამთაბაროდ ნავარაუდევ ადგილის შესწავლა ხდება ადგილობრივ გამოცდილ მეფუტკრეებისაგან ცნობების შეკრებით, იქვავრცელებული თაფლოვანი მცენარეების რაოდენობაზე, მათი ყვავილობის ვადებსა და ხანგრძლივობაზე, ფუტკრის ოჯახების რაოდენობაზე, საფუტკრეების განლაგებაზე, ფუტკრის ჯანმრთელობაზე და სხვ.

თუ საფუტკრეებში საკონტროლო სკები იმყოფება, მთელი რიგი წლების ჩვენებათა გაცნობით, საუკეთესო მასალას მივიღებთ სამთაბაროთ დასახული ადგილის შესარჩევად. ამავე დროს, თვით ფუტკრის ოჯახებიც უნდა გაისინჯოს, რომ შესაძლებლობა მოგვეცეს ჩვენ ოჯახებთან შედარებისა და ამის მიხედვით დასკვნების გამოტანა იმ ადგილის შესახებ, სადაც ახლა ფუტკარი იმყოფება და სამთაბარო ადგილის შორის თაფლოვან მცენარეების ყვავილობის ვადების განსხვავებისა და ამის შედეგად ფუტკრის ოჯახების განვითარების სხვაობაზე.

თუ შევამჩნევთ, რომ სამთაბარო ადგილას დედა ფუტკარი

კვერცხს დიდი რაოდენობით სდებს, ფუტკრებმა ფიჭის შენება, ბუღის ჩარჩოების ზედა ნაწილში თაფლის ჩასამართლებრივის გათეთრება დაიწყეს — ეს იმის ნიშანია, რომ უახლოეს დღეებში მოსალოდნელია მთავარი ღალიანობის დაწყება.

მაგრამ, მეფუტკრე მხოლოდ ამით არ უნდა დაკმაყოფილდეს; მან თვითონ უნდა ღაიაროს შერჩეული ადგილის მიღამოები ყოველი მიმართულებით 2—3 კმ მანძილზე და დარწმუნდეს, ამ რაონისათვის დამახასიათებელ ძირითად თაფლოვან მცენარეების ოდენობაში და მათი ყვავილობის მდგრადრეობაზე. მან დაახლოებით უნდა გამოარკვეოს თუ როდის დაიწყება ამ მცენარეების ყვავილობა და ამის მიხედვით უნდა გადასწყვიტოს ფუტკრის ამ მიღამოებში გადმოყვანის დრო.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი წელიწადი მცენარეების ყვავილობის ვადების მიხედვით ერთნაირი არ იქნება. მათ შორის რყევადობა 10—20 დღით, და ზოგჯერ მეტიც შეიძლება რომ იყოს, და თუ ეს გარემოება არ იქნება გათვალისწინებული, შეიძლება მეფუტკრემ გასული წლების მიბაძვით მიიყვანოს სამთაბაროდ ფუტკარი, მაგრამ მას მთავარი ღალიანობა ან დამთავრებული დახვდეს ან უკვე მიწურული.

როგორც ზემოთ იღვნიშნეთ, ნექტარის გამოყოფაში ამინდს გადამწყვეტი შნიშვნელობა აქვს: გვალვის დროს მცენარე აღრეც ყვავილობს და ნექტარსაც ნაკლებს გამოჰყოფს, ცივი და წვიმიანი გაზაფხული მთავარ ღალიანობას აგვიანებს. ძლიერი სეტყვაც სწრაფად სწყვეტს ღალიანობას; თუ სათიბები დაისეტყვა, ღალიანობა ჯერ შესწყდება, შემდეგ კი თუ ნასეტყვ მინდორს ერთი-ორი თბილი წვიმა მოხვდა, დაგვიანებით, კარგი ღალიანობა დაიწყება სეტყვის შემდეგ, ახლად ამოყრილ მინდვრის ყვავილებიდან.

სამთაბაროდ შერჩეული ადგილი უნდა აქმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

1) 1,5—2 კმ ირგვლივ უხვად იყოს თაფლოვანი მცენარეები;

2) მთაგორიან ადგილას საფუტკრე უნდა დაიდგას ფერდობის ძირში, რომ ფუტკრებს ღალისათვის ფრენა ზევით უხდებოდეთ, ხოლო ნექტარით დატვირთულებს კი ქვევით.



3) თაფლოვან მცენარეებს და საფუტკრეს შორის მდინარე ან ტბა არ უნდა იმყოფებოდეს, ნაკადული ინ პარა მდინარე კი სასურველი იყო.

4) საფუტკრე ისეთ ადგილას არ უნდა დაიდგას, რომ მთის მდინარის ადიდების შედეგად საფუტკრეს საშიშროება მოელოდეს.

5) საფუტკრე მზის გულზე და ქარიან ადგილას არ უნდა დაიდგას. სკეპტი დაჩრდილულ უნდა იყოს მზისაგან, მაგრამ მუღმივი ჩრდილი კი ხელს უშლის ფუტკარს დილით ადრე გამოფრენაში.

6) საფუტკრეში მისასვლელი გზები და ხიდები წყიმის და წყალდიდობის დროს არ უნდა ზიანდებოდეს.

სამთაბარო ადგილის შერჩევის, და იქ ფუტკრის გადაყვანის დროს შორის, დიდი მანძილი არ უნდა იყოს, რადგან ამ ხნის განმავლობაში შესაძლებელია ქარების ან გვალვის გამოლალიანობა შემცირდეს ან სულაც შესწყდეს; შესაძლებელია სეტყვამ მოსპოს იმ მცენარის ყვავილები, რის იმედიც მეფუტკრეს ჰქონდა სამთაბაროდ ადგილის შერჩევისას. სასურველია, რომ ადგილის დათვალიერების შემდეგ ხშირად ხდებოდეს ცნობების მოწოდება საკონტროლო სკის ჩვენებაზე, ლალიანობის მიმდინარეობაზე და ამინდზე.

იმ შემთხვევაში, თუ ფუტკრის სამთაბაროდ მომზადების დროს, მის წაყვანამდე მიღებულ იქნა ცნობა სამთაბაროდ შერჩეულ ადგილიდან ლალიანობის შეწყვეტაზე რაიმე სტიქიურ ან კლიმატურ პირობების გამო, საფუტკრის იმ ადგილას გადაყვანა უნდა შეჩერდეს და ახალი ადგილი მოიქცენოს. როდესაც გადაწყვება თუ საღ უნდა იქნას წაყვანილი ფუტკარი, მეფუტკრე უნდა მოელაპარაკოს ნაკვეთის პატრონს და აილოს მისგან ნებართვა მის ადგილზე ფუტკრის დალაგებაზე. იმ შემთხვევაში თუ ფუტკარი სოფელში იქნება დალაგებული და საფუტკრედ რომელიმე ეზო ან ბალია შერჩეული, მეპატრონნესთან წინასწარვე მოლაპარაკების და შეთანხმების შემდეგ, შეიძლება ფუტკრის მიყვანა. იმ შემთხვევაში თუ საფუტკრეს სოფლის გარეთ მინდორში ან ტყეში ვათვესებთ, აქაც საჭიროა კოლმეურნეობასთან ან სატყეო მე-

ურნეობის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება საფუტკრის /
ადგილზედ ნებართვის ასაღებათ.

როგორც წესი, უნდა ვერიდოთ სხვა რომელიმე საფუტკრის სიახლოვეს ფუტკრის დადგმას, მით უშეტეს საფუტკრეს, და იმ ადგილს შორის, საიდანაც ფუტკარი ნექტარს ეზიდება; რადგანაც ამ მიდამოდან როდესაც ფუტკარი ნექტარის დაგროვებას შესწყვეტს, გზაზედ მყოფ საფუტკრეს დაეცემა და შესაძლებელია ურთიერთ ქურდობის შედეგად ბევრი ოჯახი მოისპოს ან დასუსტდეს:

შერჩეულ რაიონში ან სოფელში ნებართვის აღება საჭიროა ამ რაიონის, სოფლის მეურნეობის განყოფილებიდან, რომელიც აწესრიგებს თავის რაიონში ფუტკრის გეგმიურ განლაგებას. რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილებას უნდა წარედგინოს თავის რაიონის, სოფლის მეურნეობის განყოფილების შუამდგომლობა და მოწმობა ფუტკრის ჯანმრთელობაზე. ამ მოწმობის გარეშე ფუტკრის შეყვანა სხვა რომელიმე რაიონში, ან სოფელში დაუშვებელია. ფუტკრის ჯანმრთელობაზე მოწმობას საფუტკრეს, აძლევს რაიონის მეფუტკრეობის აგრონომი (ზოოტექნიკოსი), რომელმაც აუცილებლად ადგილზე უნდა შეამოწმოს ფუტკრის ჯანმრთელობა და მხოლოდ იმის შემდეგ გასცეს სათანადო მოწმობა და შუამდგომლობა ფუტკრის გადაყვანაზე.

ცუტდრის ოჯახების სამთაბაროდ მოვზადება


მომთაბარე საფუტკრეში სკები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მეფუტკრეს ბევრი დრო არ ეკარგებოდეს ფუტკრის ბუდეების მომზადებაზე და მთაბარობის დროს არც ფუტკარი ზიანდებოდეს.

სამთაბარო სკები რაც შეიძლება მსუბუქი უნდა იყოს; სკის ყველა ნაწილი ერთმანეთთან კარგად იყოს მორგებული; სკის შეკვრის დროს ხვრელები არ რჩებოდეს, საიდანაც გზაში ფუტკრები გამოვლენ და თუ ფუტკარი ცოცხალ გამწევ ძალით გადაგვყავს (ცხენები, ხარ-კამეჩი) ცხოველებს დაჰკენენ და მგზავრობას სახიფათოს გახდიან.

ბუდეში ჩარჩოები ისე უნდა გამაგრდეს, რომ გზაში არ


მოძრაობდენ, ამიტომ ჩვენში სამთაბარო საფუტკრეებში გამ-
ყოფიან ჩარჩოებს ვხმარობთ.

ამ ჩარჩოს გვერდის თამასის სიგრძის მესამედი ზედა ნა-
წილში 37 მმ სიგანისაა; სკაში ასეთი ჩარჩოები ზედა მხარით



ნახ. 5. სამთაბარო სკა გამყოფიან ჩარჩოებით.

ერთმანეთზედ მჭიდროდ არის მიღებული და მგზავრობის
დროს არ მოძრაობდენ.



ნახ. 6. სამთაბარო გამყოფიანი ჩარჩო.

იმ საფუტკრეებში, საღაც ზემომოყვანილ ჩარჩოებს არ
ხშარობენ, სკის ორივე გვერდის ზედა ნაწილში, საღაც ჩარ-

ჩოები ეწყობა, წინასწარვე თუნუქის გამყოფები უკეთესია ხოლო ქვედა ნაწილში კი — ფოლადის მავთულის დაკლატებით მავთულის გამყოფი, ბუღის ჩარჩოების ქვედა თამასების დასამაგრებლად. ასევე უკეთდება საკუჭნაოს, მხოლოდ ქვედა მავთულის გამყოფის მაგიერ, ქვემოთაც თუნუქის გამყოფი კედლის ერთ-ერთ ქვედა მხარეს მოემაგრება.


თუ საფუტკრეში არც გამყოფიანი ჩარჩოებია და არც თუნუქის გამყოფებს ხმარობენ, ფუტკრის გადაყვანის დროს შეიძლება ჩარჩოებს შორის თამასები მოვათავსოთ, რომ მგზავრობის დროს ფიჭა ადგილიდან არ დაიძრას, ერთმანეთს არ მიეკრას და დედა, ბარტყი და ფუტკარი არ დაზიანდეს.

დიდ საფუტკრეში ასეთი გამყოფების შოწყობა ბევრ დროს მოითხოვს, როგორც ფუტკრის სამთაბარო მომზადების, ისე ადგილზე მიტანისას — სკების გახსნის დროს. ამავე დროს ეს თამასები ხშირად იფანტება, ერთი სკისა მეორე სკაში ხვდება, რაც საშიშია ავად-მყოფობის გავრცელების მხრივ.

ფუტკრის მთაბარობა მეტ შემთხვევაში ზაფხულში, სიცხის დროს ხდება. ფუტკარი მოძრაობის დროს ღიზიანდება და ამით სკაში ტემპერატურას უფრო მაღლა სჭევს, რაც საშიშია როგორც ფუტკრისათვის, ისე ბარტყისა და ფიჭისათვის.

ბუღე რომ სათანადოდ არ იყოს მომზადებული, მთაბარობის დროს ფუტკარი და ბარტყი სიცხისაგან ამოიხრჩობა, ხოლო ფიჭები, მით უმეტეს ახალი აშენებული, გალხვება და ჩაწვება, თაფლი კი დაიღვრება. ამიტომ ფუტკრის მთაბარობისას ვაძლიერებთ ვენტილაციას, ამისათვის ჩარჩოების გამაგრების შემდეგ ბუღეზე, და თუ საკუჭნაო ადგია — სკას საკუჭნაოზე ზემოდან დავაკრავთ მავთულის ბადეს, რომელიც სკის ზომის ჩარჩოზე არის გაკრული. (ნახ. სამთაბარო ბადე) ბადის უჯრედების ხერელები 1,5—2 მმ მეტი არ უნდა იყოს, რომ შიგ ფუტკრები არ გაძერნენ.

სკის ფსკერი, ბუღე და საკუჭნაო ერთმანეთთან კარგად



ნახ. 7. ჩარჩოების გამაგრება თამასებით.


უნდა იყოს მიმაგრებული, სკას თუ ზემოდან მავთულის ჩაფიცი
აკრავს, ფუტკრის გადაყვანისას, ხუფის გამაგრება შეაქვიდო
არ არის.

მავთულის ბალის მაგიერ
შეიძლება დოლბანდი (მარ-
ლა) ვიხმაროთ, მაგრამ
ფრთხილად უნდა ვიყოთ,
რომ არსად დაიხეს და ფუ-
ტკარი გარეთ არ გამოვი-
დეს. საფრენი თამასით ან
მავთულის ბალით უნდა დავ-
ხუროთ.

სანამ სამთაბაროდ ბუდეს
მოვამზადებთ, ყველა თაფ-
ლიანი მძიმე ჩარჩოები უნდა
გამოვწუროთ, ან სკიდან
ამოვილოთ და ცალკე გადა-
ვიტანოთ, თუ თაფლიანი
ჩარჩოების თან წალება საჭი-
როებას წარმოადგენს. მაგ-
რამ ხშირად ამ დროს ჩარჩოზე დიდი რაოდენობა (1,5—2
კგ) თაფლთან ერთად გადაბეჭდილი ან გადაუბეჭდავი ბარტყიც
იძყოთ.

ზოგი მეფუტკრე ბარტყიან ჩარჩოებიდან თაფლს სრულე-
ბით არ გამოსწურავს, ზოგი მხოლოდ გადაბეჭდილ ბარტყი-
ან ჩარჩოებს ფრთხილად დასწურავს და ამით ჩარჩოებს ამსუ-
ბუქებს, გადაუბეჭდავ ბარტყიან ჩარჩოებს კი ხელს არ ახლებს,
მაგრამ როგორც პირველ შემთხვევაში, ისე მეორეშიც მთა-
ბარობისას ფუტკრის ოჯახი დაზღვეული არ არის დაზიანე-
ბისაგან ან მთლიანად დალუპვისაგან.


როგორც ზემოთ აღნიშნეთ ფუტკრის ბარიდან მთაში გა-
დაყვანა მეტ შემთხვევაში პირველი ლალიანობის დამთავრების
შემდეგ ხდება; ამ დროს უკვე დიდი სიცხეებია და ხშირად
ჰაერის ტემპერატურა 35—40 გრადუსზე ზემოთ ადის. ამი-
ტომ ფუტკრის გადაყვანა უნდა ვაწარმოოთ ლამით, მაგრამ



ნახ. 8. სკის გასამაგრებელი ბაგირი.

ძალიან ხშირად, თუ ფუტკარი შორს მანძილზე გადაგვიავს დღისითაც გვიხდება მგზავრობა.

მიუხედავად იმისა, რომ ფუტკრის ოჯახების სამთაბაროდ მომზადებისას მეფუტკრე ცდილობს ბუდიდან ზედმეტი თაფლი გამოსწუროს და ამით თაფლიანი ჩარჩოები დაამსუბუქოს,



ნახ. 9. საფრენის მავთულის ბადით აფარება.

ბუდეში მაინც ხშირად გამოუწურავი თაფლი 10—12 კგ რაოდენობით რჩება, რომელიც ბარტყთან ერთად ჩარჩოში არის მოთავსებული.

როგორც ვიცით, ფუტკრები თაფლს ბარტყის ზემოთ, ე. ი. ჩარჩოს ისეთ ადგილას ათავსებენ, სადაც ფიჭის ჩაწოლის ყველაზე მეტი საშიშროებაა.

ცხელ ამინდში, ფუტკრის გადაყვანის დროს, ტრანსპორტის მოძრაობის შედეგად სკები ირყევა, დამწყვდეული ფუტკარი ლელავს და ბუდეში ტემპერატურას მაღლა სწევს. სიცხისაგან გამდნარი მძიმე ჩარჩო ჩამოწვება და თაფლი დაიღვრება, ფუტკრები იმ წამსვე დალვრილი თაფლის აღებას იწყებენ, ჩინჩიხებს ივებენ და თავის მოძრაობით, ისედაც მაღლალ ტემპერატურას უფრო მაღლა სწევენ, რის შედეგად დანარჩენი ფიჭები გადნობას იწყებენ და ჩამოწვებიან. დიდი სიცხისაგან და უპარობით, როგორც ფუტკარი, ისე ბარტყი ამოიხრჩობა.

ამრიგად; იმის გამო, რომ მეფუტკრეს დაენანა ერთი ბარტყიანი ჩარჩოს გამოწურვა, რომ ბარტყი ციბრუტში ტრადილით არ დაეზიანებინა, თაფლის გამოუწურავობის შედეგად მან მთელი ოჯახი დაღუპა.

ზოგჯერ, მთაბარობისას, რამდენიმე ოჯახი დაიღუპება, პირველ რიგში კი ყველაზე ძლიერი ოჯახი.


უკეთეს შემთხვევაში თუ ოჯახი მთლიანად არ დაიღუპა, მძიმე, თაფლიანი ფიჭა სიმძიმისაგან ჩაიწელება და ჩარჩოს ზედა ნაწილში უჯრედები უვარესი გახდება სამუშე ბარტყის გამოსაზრდელიდ.

ამიტომ, მეფუტკრის წინაშე მთაბარობის წინ დაისმის საკითხი:

1. გამოსწუროს ყველა მძიმე, თაფლიანი ჩარჩოები და დააზიანოს ამ ჩარჩოებზე მოთავსებული ბარტყი. და ამით მთავარ ლალიანობისათვის ოჯახები შეასუსტოს თუ

2. გაბედოს და ბუდეში მძიმე, ბარტყიანი ჩარჩოები გამოუწურავი ამთაბაროს, იქნებ გზაში ჩარჩოები არ ჩაწეს და ბარტყი დანიშნულ ადგილას დაუზიანებელი მიიტანოს?

ეს საკითხი ამ სტრიქონების დამწერმა, სამი წლის წინ ასე გადავჭრი: გავითვალისწინე რა, რომ ბუდის ჩარჩოს ზედა



ნაკ. 10. ირ. გაბურიას სამთაბარო ჩარჩო.

ნაწილში წლის განმავლობაში მეტ შემთხვევაში თაფლი არის მოთავსებული, დედა ფუტკარს აქ იშვიათად თუ აქვს ადგილი

კვერცხის დასაღებათ, ჩეენ ჩარჩოს ზედა თამასის გრიფი სტატუსი
დაშორებით 4—5 მმ სისქის და 25 მმ სიგანის პორტატის
ტალური თამასა ჩავაკარით, მსგავსად საშენი ჩარჩოსი.

ასეთი ჩარჩოს ბუღეში ჩადგმის წინ, როგორც ზედა ნაწილში,
ისე ქვედაში ხელოვნურ ფიჭას ვაკრავთ. ზედა ნაწილში
მავთულს აღარ ვაბამო, ხოლო ქვედაში 2—3 რიგად გაბმული
მავთული საქმარის სიმაგრეს უქმნის ფიჭას. ასეთ ჩარჩოს
ფუტკრები ჩვეულებრივად აშენებენ, ზედა ნაწილში თაფლს
ასხამენ, ხოლო ქვედაში კი დედა ფუტკარი კვერცხს სდებს.

ფუტკრის მთაბარობის წინ ასეთი ჩარჩოებიდან თაფლს არ
გამოვწურავთ, არამედ ზედა ნაწილში მოთავსებულ თაფლს
ამოვჭრით, ხოლო ბარტყეს ისევ უკან, უკნებლად ჩავდგამთ
მთლიანად აშენებულ ჩარჩოებს შორის.

ჩარჩოს ზედა ნაწილში ხელოვნურ ფიჭას აღარ ჩავაკრავთ,
რაღანაც ფუტკრები შექმნილ სიცალიერეს, მსგავსად სან-
თლის საშენ ჩარჩოსი, სწრაფად ჩამოაშენებენ, ხოლო იმ შემ-
თხვევაში ჩვენთვის მნიშვნელობა არ ექნება. ფუტკრები სა-
მამლე თუ სამუშე უჯრედებს ააშენებენ, რაღანაც დედა ფუტ-
კარი იშვიათად ჩასდებს აქ კვერცხს. ჩარჩოს ზედა ნაწილში,
როგორც ვიცით ფუტკრები თაფლს ასხამენ და აქ თაფლი
თითქმის შთელი წლის განმავლობაში იმყოფება.

იმ შემთხვევაში, თუ ჩარჩო მთლიანად თაფლით არის სავსე,
მას ჩვეულებრივად, ფიჭის ამოუჭრელად გამოვწურავთ და
ისევ სკაში დავაბრუნებთ.

მომთაბარე მეუუტკრეობისათვის ჩეენს მიერ შემოღებულ
ჩარჩოს შემდეგი უპირატესობა აქვს:

1. ფუტკრის სამთაბაროდ შომზადებისას, თაფლის გამო-
წურვის დროს ბარტყი არ ზიანდება და ოჯახი სამთაბარო
ადგილზე ლონიერი მოდის.


2. დამატებით პორტატიზატალური თანასა ჩარჩოს ამაგრებს
და ფიჭის ჩანგრევის შესაძლებლობას სპობს.

3. ხელს უწყობს ზედმეტი სანთლის დაგროვებას; ეს ჩარჩო
იმავე დროს გამოიყენება სანთლის საშენ ჩარჩოდ.

4. მცირდება მუშაობა მავთულის გაბმაზე, რაღანაც მავ-
თულის გაბმა მხოლოდ 2—3 რიგად დასჭირდება, ნაცვლად
4—5 რიგისა.

ფუტკრის ახლო მანძილზე გადაყვანა შეიძლება ურმით, მარხილით, ცხენით, ვირით და სხვ., ხოლო შორ მანძილზე — მანქანით, ტრაქტორით, რკინიგზით, თვითმფრინავით.


ურემზე და მარხილზე სკების ნჯორევის შესანელებლად ჩარჩოები რომ არ ჩაინგრეს, უნდა დაუგოთ ჩალა, თივა ან ფიჩხი, შემდეგ ზედ ორ რიგად სკები დავაწყოთ და თოვით კარგად შევკრათ.



ნახ. 11. ფუტკრის გადაყვანა ცხენიან ოთხთვალა ურმით.

მთიან ან ტყიან ადგილებში, საღაც გზის მაგიერ ვიწრო გზებია და ბილიკები, ფუტკრის გადაყვანა კარგია ცხენებით ან ვირებით. თითო ცხენს ან ვირს ორ-ორ სკას ავეიოდებთ. ცხენებს რომ არ გაუჭირდეთ და ტვირთი ძალიან მაღლა არ გამოვიდეს, სჯობია, რომ საკუჭნაოები მოეხსნათ და ცალკე გადავიტანოთ, მით უმეტეს, რომ ცხენებით გადაყვანის დროს ბუდეში ტემპერატურის აწევის საშიშროება არ არის, რადგანაც სკები გზაში დიდი ხნით არ იქნებიან, არც ფიჭები ჩაწვებიან, რადგანაც ადგილი არა აქვს სკების დანჯლრევის.

უნდა გვახსოვდეს, რომ ფუტკარს ოფლის სუნი მაღაწები
ალიზიანებს, მით უმეტეს ცხენისა, ამიტომ სკები ისე უნდა
იყოს შომზადებული და შეკრული, რომ მგზავრობის დროს



ნახ. 12. სამთაბარო ფუტკარის ცხენებით გადაყვანა მთაში, ჩხოროწყუს
რაიონის სოფ. მუხურის კაგანოვიჩის სახ. კოლმეურნეობაში.

არც ერთი ფუტკარი არ გამოძერეს. სიფრთხილისათვის სჯო-
ბია სკები თხელ ტომრებში მოვათავსოთ; ასეთ შემთხვევაში
ფუტკრები სკიდან კიდეც რომ გამოვიდნენ, ტომრებიდან მაინც
ვერ გამოვლენ და ცხენს არ დაპქბენენ.

იმ შემთხვევაში, თუ ფუტკრები სკიდან მაინც გამოძერენ,
მეფუტკრე არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიბნეს; იმ წამ-
სვე უნდა შეაჩეროს ცხენი, გადმოტვირთოს სკები და ყველა
ცხენი ამ სკას მოაშოროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ფუტკრები
ცხენს დაეხვევიან, მას დაპქბენენ და მეტ შემთხვევაში დაკ-
ბენილი ცხენი ცოცხალი არ გადარჩება.

მეფუტკრეს თან ბასრი დანა უნდა ჰქონდეს, რათა იმ შემ-
თხვევაში, თუ თოკები დროულად ვერ მოხსნა, დანით სჭრა-
ფად გადასჭრას და ცხენი ტვირთიდან გაანთავისუფლოს.



სკა, საიდანაც ფუტკარი გამოძერა, ზედმიწევნით უნდა გაისინჯოს, მოიძებნოს ადგილი, თუ საიდან გამოდის ფუტკარი, და თუ ხერელი აღმოჩნდა, ტალახით ამოგლისოს ან ლურსმნით კარგად მიაჭედოს სკის ნაწილი ერთმანეთს, თუ მათ შორის გამოდის ფუტკარი. გამოსული ფუტკარი აუცილებლად უნდა დახოცოს და კარგად გამზადებული სკები კვლავ ცხენს აპეიდოს და გზა განაგრძოს. ცხენებით ან ვირებით ფუტკრის გადაყვანის დროს თითოეულ ცხენს ან ვირს თითო გამძლოლი უნდა ჰყავდეს, რომ ცხენები ერთ მწერივად მიჰყავდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სკებს ერთმანეთს მიაჯახებენ, ამ დროს შესაძლებელია ცხენი წაიქცეს და სკები დამტკრიოს.

ფუტკარის მატარებლით გადაჭვანა

ფუტკარი შორ მანძილზე მატარებლით გადავვყავს. ამ შემთხვევაშიც სკებს ისევე ვამზადებთ, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ოჯახებს რაც შეიძლება მეტი თავისუფალი ადგილი უნდა მივცეთ, ზედმეტი საკუჭნაოების დადგმით, რომ რკინიგზის რონოდაში ფუტკარი უპარიზობით არ ამოიხუთოს.

იმ შემთხვევაში, თუ გადასაყვანია არა უმეტეს 10—15 ოჯახისა, შეიძლება სკები ბაგაუით გადაიგზავნოს.



ამისათვის წინასწარ მოელაპარაკებიან რკინიგზის სადგურის უფროსს ან იმ თანამშრომელს, რომელიც ტვირთის გაგზავნას განაგებს. აილებენ ნებართვას, დააზუსტებენ ფუტკრის მიღების და გამგზავრების დროს, რის შემდეგ დანიშნულ დროს მოიყვანენ ფუტკარს სადგურში და ფუტკრის გაგზავნას გააფორმებენ.

მუშები, რომლებიც მიიტანენ სკებს სასწორთან ასაწონად და რონოდებში დასატვირთავად, წინასწარ გაფრთხილებულ უნდა იყვნენ თუ როგორ მოექცნენ დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს სკებს. მეფუტკრემ თვითონ უნდა მიიღოს მონაწილეობა და უშუალოდ უხელმძღვანელოს ფუტკრის დატვირთვას.

სადგურზე ჩაბარებული სკები — ფუტკრის რონოდაში და-

ტვირთამდე ჩრდილში უნდა დაიღვას, რონოდაშიც სკები ცალ-
ქე ერთ მშერივად უნდა დალაგდეს და აიხადოს ჟუფეტონა
სკებს ზემოდან სამთაბარო ბაღეებზე არაფერი არ უნდა
დაეწყოს.

დანიშნულ სადგურზე ფუტკარი მისვლისთანავე უნდა გა-
მოვისყიდოთ და რონოდიდან ფუტკარი გარეთ, ჰაერზე,
ჩრდილში ფრთხილად უნდა გადმოვტვირთოთ.



ნახ. 13. სკების საზიდი.

იმ შემთხვევაში, თუ სადგურიდან სკები რამდენიმე კილო-
მეტრით უნდა გადავიყვანოთ, შეიძლება ფუტკარის სადგუ-
რის მახლობლად საფრენები გაუსწავთ და სალაშომდე გამო-
ფრენის საშუალება მივცეთ, რაზედაც წინასწარ სადგურის
ხელმძღვანელობიდან ნებართვა უნდა ავიღოთ.

სალაშომ ხანს, როდესაც ფუტკარები შეგროვდებიან, საფრე-
ნები კვლავ უნდა დავკეტოთ და სკები დანიშნულ ადგილის
გადავიტანოთ. სადგურიდან ფუტკარი თუ 2—2,5 კილომეტრ-
3. გაბუნია



ზე ახლომა გადასატანი, საფრენების გახსნა სადგურზე მოვალეობა, რადგანაც მოღალე ფუტკარი კვლავ პირველ გამოფრენის ადგილზე ე. ი. ს. სადგურში დაბრუნდება.


როდესაც ფუტკარი დიდი რაოდენობით არის გადასაყვანი, საჭიროა წინასწარ სათანადო რაოდენობის როხოდების გამოთხვნა.

რადგანაც ფუტკრის გადაყვანა სამთაბაროდ სიცხეში ხდება, ამიტომ რონოდები დახურული უნდა იყოს და არა ლია ბაქნები, რომ სადგურებზე გაჩერების დროს, მზეზე სიცხისაგან ოჯახები არ დაიღუპოს. ჩვეულებრივ ორლერძიან სატვირთო რონოდაში 30—35 ფუტკრის ოჯახზე მეტი არ უნდა მოვათავსოთ, რათა ფუტკრებს საქმაო სუფთა ჰაერი ჰქონდეთ. რონოდაში სკები ისე უნდა დალაგდეს, რომ მეფუტკრეს თითოეულთან მისვლა შეეძლოს საჭირო დახმარების გასაწევად, თითო რონოდას აუცილებლად ერთი გამყოლი მაინც უნდა ჰყავდეს.

სადგურის ხელმძღვანელობასთან წინასწარ შეთანხმება უნდა მოხდეს, რომ ფუტკრით დატვირთული რონოდები ჩაურთონ საგეზო (სამარშრუტო) შემადგენლობას და არა ამკრეფ მატარებელს, უკანასკნელს შეიძლება გზაში რამდენიმე დღე მოუხდეს ყოფნა, რადგანაც თითქმის ყველა სადგურზე ის რამდენიმე საათით ჩერდება. იმ შემთხვევაში, თუ ცხელი ამინდია და ფუტკარს რონოდაში 1,5—2 დღეზე მეტი ხანი მოუხდა ყოფნა, ერთ-ერთ სადგურზე, ნებართვის ალების შემდეგ, ფუტკრის გამყოლმა რონოდა შემადგენლობიდან უნდა ჩამოახსნევინოს და ისეთ ადგილას ჩააყენებინოს, სადაც შესაძლებელია ფუტკრის გადმოტვირთვა გამოფრენის ჩასატარებლად. საღამოთი, ფუტკრის ფრენის შეწყვეტის შემდეგ, სკების საფრენებს კვლავ დაუკეტავთ, რონოდაში დატვირთავთ და შემადგენლობაში ჩავართვევინებთ.

საგეზო მატარებელი ყველა სადგურზე არ ჩერდება, თუ ფუტკრით დატვირთული რონოდები მასშია ჩართული, დანიშნულ ადგილამდე სწრაფად მივა და ამიტომ ფუტკრის დაზიანების ნაკლები ხიფათია, რადგანაც რკინიგზით ფუტკრის გადაყვანისას ოჯახები ზიანდებიან არა მგზავრობის დროს,

არამედ სალგურებზე მზის გულზე დიდი ხნით გაჩერტილი
საგან.



ნაბ. 14. ფურკების მდინარეზე გადაყვანა, აფხაზეთის ასსრ.

1931 წელს თბილისის მეფუტკრეებმა პირველებმა საბჭოთა კომისარია გავშირში ფუტკარი საყინულე რონოდებით თბილისიდან სოჭიათა ხეთის სს ჩასპუბლიკის მთის ზონაში ამთაბარეს. რაღაც აც საყინულე რონოდებით ფუტკრის გადაყვანამ კარგი შედეგები მისცა, მის შემდეგ ფუტკრის მთაბარობა ზაფხულში საყინულე რონოდებით წარმოებს და ფუტკრის ოჯახების დაღუპვის შემთხვევებიც მინიმუმამდეა დაყვანილი.

საყინულე რონოდებში თავსდება 50—60 ფუტკრის ოჯახი. საყინულე უბეებში 2—2,5 ტონა ყინული უნდა ჩაიყაროს, მგზავრობის დროს კარები და ფანჯრები დაკეტილი უნდა იყოს, რის გამო რონოდაში სიბნელე იქნება, რაც მეტად დადებითად მოქმედებს ფუტკრის მთაბარობაზე, რაღაც დამწევდება ფუტკარი სიბნელეში თითქმის სრულებით არ დელავს.


რონოდაში სუფთა ჰაერი საყინულე რონოდაში ყინულის ჩასაყრელ ღარიდან ²(ЛЮК) ჩადის, რომლებიც მგზავრობის დროს ლია უნდა იყოს, რაზედაც რეინიგზის აღმინისტრაციიდან წინასწარ ნებართვის აღებაა საჭირო.

სიცხით აღელვებული ფუტკარი საყინულე რონოდაში, საღაც ტემპერატურა 0 გრადუსზე დაბალია, სწრაფად დაწყნარდება და რომ არ გაციდეს, ბარტყს დაპფარავს. რონოდაში ტემპერატურა თანდათანობით მაღლა იწევს და უკვე რამდენიმე საათის შემდეგ 10—20 გრადუსს იღწევს. ასეთი ტემპერატურა კი ფუტკრის მგზავრობისათვის საშიში არ არის. თუ საყინულეში 2—2,5 ტონა ყინული ჩავაყრევინეთ, ეყოფა რონოდას 1,5—2 დღე-დამე. თუ რაიმე მიზეზის გამო მგზავრობა აღნიშნულ დროზე მეტ ხანს გაგრძელდა, საყინულეში ყინული კიდევ უნდა ჩავაყრევინოთ ან წინასწარვე ვარაუდი დაგიჭიროთ და თავიდანვე მეტი ყინულით დავტევირთოთ.

ფუტკრის ავტომანქანით გადაზვანა

უკანასკნელ ხანებში ფუტკრის გადაყვანა წარმოებს მეტ შემთხვევაში, ავტომანქანებით. ავტომანქანებით მთაბარობა უფრო მარჯვეა და სწრაფი, ვიდრე სხვა რომელიმე სატრანსპორტო საშუალებებით, გარდა თვითმფრინავებისა.

მანქანაზე სკები სიმაღლეზე — 2—3 რიგად დალაგულება
საფრენების მიმართულება შეიძლება წინ ან უკან უყოთ, იმ
დროს, როდესაც ურემზე საფრენები გვერდზე უნდა მოუქ-
ციოთ.



ნახ. 15. ფუტკრის გადაყვანა ავტომანქანით.

ავტომანქანაზე შეიძლება დაეტიოთ სკების შემდეგი რა-
ოდენობა:

ავტომანქანის ტიპი	მანქანის ძი- რას (ძირის) ზომა	დაეტევა სკები	შენიშვნა:
"გაზ" აა 1,5 ტონიანი	245 სმ×187 ს. ზომა	ერთრიგად — 12 ც. ორრიგად — 24 ც. სამრიგად — 36 ც.	მესამე რიგი უსაკუჭ- ნაოდ
"ზის" 3 ტონია- ნი და "გაზ" 51 (2 ტო- ნიანი)	308 სმ×220 ს.	ერთრიგად — 15 ც. ორრიგად — 30 ც. სამრიგად — 45-55 ც.	მესამე რიგი უსაკუჭ- ნაოდ
"იაგ" 5 ტონიანი	378 სმ×220 ს.	ერთრიგად — 24 ც. ორრიგად — 48 ც. სამრიგად — 72 ც.	მესამე რიგი უსაკუჭ- ნაოდ

მანქანაზე სკები მაგარი, გამძლე თოკებით ჯვარედინად,
კარგად უნდა შეიკრას და გაიჭიმოს, რომ სკები ერთმანეთთან

მჭიდროდ იყვნენ მიღმული და არ იმოძრაონ. გზადაგზათ თუ კები ხშირად უნდა ისინჯებოდეს და თუ მოეშვება, ხელას-ლად უნდა დაიჭიმოს. ფუტკრით დატვირთული მანქანა წამ-ყვანს ფრთხილად და დინჯად უნდა მიჭყავდეს. მოსახვევებში,



ნახ. 16. ფუტკრის გადაყვანა ავტომანქანით ყაზბეგის რაიონში.

თავქვეებში და ოლრო-ჩოლრო გზებზე ნელა უნდა ატაროს, ხშირად უნდა გააჩეროს გზაში, რომ გასინჯოს, თოკები ხომ არ მოეშვა ან რამე ხომ არ გადავარდა.

ცუტკრის თვითმფრინავით გადაზვანა

იმ რაიონებშია, სადაც საფუტკრები აეროლრომებთან იმყო-ფებიან, ფუტკრისათვის კარგია და უხითათო თვითმფრინა-ვით მთაბარობა. ამავე დროს თვითმფრინავით ფუტკრის გა-დაყვანა სწრაფად ხდება, რაც უნდა დიდ მანძილზე არ ვა-მჟაბაროთ. თუ საფუტკრე აეროლრომიდან შორს იმყოფება, ფუტკარი აეტომანქანებით წინასწარ უნდა მივიყვანოთ, მივ-ცეთ ფუტკარს გამოფრენის საშუალება, სალამოთი ისევ დავუ-



კეტოთ საფრენები და მზად ვიყოლიოთ ფუტკარი თვითმფრინავი ნავჭე დასატვირთად.

იმ შემთხვევაში თუ უამინდობის გამო თვითმფრინავი არ აფრინდა, სკებს საფრენები ისევ უნდა აუხსნათ და ფუტკარი გამოუშვათ.

თანამედროვე სამგზავრო ან სატვირთო თვითმფრინავზე ორ ტონამდე ტვირთის დატვირთვა შეიძლება, მაშასადამე თვითმფრინავი ერთ გზაზე დაახლოებით 35—40 ფუტკრის ოჯახს დაიტევს.

ახლო მანძილზე ფუტკრის გადაყვანა შეიძლება ტრაქტორებით, რომელსაც „რესორიან“ მისაბმელს ფუტკრით დატვირთულს მივაბამთ. ერთდროულად შეიძლება რამდენიმე მისაბმელის დატვირთვა და ტრაქტორზე მიბმა.

იმ აღვილებში, სადაც მდინარეზე ნავები ან გემები დაცურავენ, შეიძლება ფუტკრის წყლით მთაბარობა.

მთაბარობის დროს მეფუტკრებ თან უნდა იქონიოს პირბადე და საკვამლე, ასტამი, ჩაქუჩი, გაზი, სხვადასხვა ზომის ლურსმანი, ცული, წერაქვი, ნიჩაბი, ჭურჭელი აზელილი ტალახით, ლამფა „ღამურა“, სხვადასხვა ზომის თამასები და სხვ.

სანამ ფუტკარს გამთაბარებთ, საჭიროა, წინასწარ გზების, ხილების და ბოგირების გასინჯვა, ნიალვრისაგან ან სხვა რაიმე მიზეზით ხომ არ არის დაზიანებული, რომ ფუტკრით დატვირთული ტრანსპორტის გზაში გაჩერება არ მოგვიხდეს. აუცილებლად უნდა გაისინჯოს დაბალ ხილებზე გადებული ხარიხების სიმაღლე, რომ მაღლად დატვირთულ მანქანიდან ფუტკრის გაღმოტვირთვა არ მოგვიხდეს, ან სკები ხარიხას არ მიეჯახოს და არ დაიმტვრეს.

იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზის გამო (ტრანსპორტის ან გზის დაზიანება და სხვა) მოგვიხდება დიდი ხნით სიცხეში— გზაში გაჩერება — ფუტკარი უნდა გადმოვტვირთოთ, გზის პირას დავაღალოთ და საფრენები გაუხსნათ, რომ სიცხით შეწუხებული ფუტკრები გამოფრინდნენ, ბუდე წესრიგში მოიყვანონ და გააგრილონ, სალამოთი ფუტკარს საფრენებს ისევ დაუკეტავთ, დავტვირთავთ და გზას განვაგრძობთ.



შთაბარობის დროს პირველ რიგში გადავჭიდავთ ფუტკარს, ხოლო შემდეგ სათაღარიგო სკებს, საქუჭნაოებს და საფუტკრობის სხვა მოწყობილობას.

დანიშნულ ადგილზე მისვლისთანავე, ფუტკარი უნდა გადამოტვირთოთ, დავდგათ რიგებში და საფრენები გაუხსნათ. სხვადასხვა სკის ფუტკრები რომ არ აირიონ და რამდენიმე ოჯახს არ დააფრინდნენ, სკებს საფრენები თანმიმდევრობით კი არ უნდა გაუხსნათ, არამედ საფუტკროს სხვადასხვა ადგილას, რიგების და სკების გამოტოვებით, გამოტოვილ სკებს ხელმეორედ დაუბრუნდებით და საფრენს მაშინ გაუხსნით, როდესაც მეზობელ სკაში ფუტკარმა უკვე მოაწყო გამოფრენა და ასე შემდევ. როდესაც მოვათავებთ საფრენების გახსნას, საფუტკრეს კიდევ ერთხელ უნდა შემოუაროთ და დავრწმუნდეთ, რომ ყველა სკის საფრენები გახსნილია.

საამანათო ნაზრები, მათი გამოყოფა და გადაზვანა

ზოგ რაიონში ხელსაყრელია ფუტკრის ადრე გამრავლება—გამოყვანა პატარა ნაყრებისა და მხოლოდ 1—1,2 კგ ფუტკრის განაყოფიერებულ დედით გაყიდვა ისეთ რაიონის საფუტკრისათვის, სადაც ლალიანობა გვიან იწყება, ამიტომ საჭიროა საამანათო ნაყრების მიღების, გამოყენების და გადაყვანის წესების მოვლედ გაცნობა.

საამანათო ფუტკარს ათავსებენ წერილი მავთულის ბადის გალიაში, აძლევენ დედას და საკებებს იმდენს, რაც გზაში ეყოფა. ფოსტით ან თვითმფინავით უგზავნიან შემკვეთს. ასეთი წესით მიღებულ ნაყრებს საამანათო ნაყრები ეწოდება.


ამ წესით ფუტკრის გამრავლება მეტად ხელსაყრელია ჩენი რესპუბლიკის დაბლობ, თბილ რაიონებისათვის, სადაც ლალიანობა ადრე სწყლება და უსაქმოდ დარჩენილი მძლავრი ოჯახების ფუტკრები ტყუილ-უბრალოდ იკარგებიან ნექტარის ძებნაში. (კოლხიდის დაბლობის, ტყიბულის, წყალტუბოს, ქუთაისის, სამტრედის, ვანის და სხვა რაიონები).

რამდენიმე ცდა ამ მიმართულებით უკვე წარმოებულ იყო და ძალიან კარგი შედეგები იქნა მიღებული.

ეხლაც არის ახალქალაქის, ბოგდანოვკის, გორის, სტალინი-

რის და სხვა რაიონებში მსხვილი საფუტკრეები, რომლებიც
შექმნილია საამანათო ნაყრებით, რომლებიც ადგილზე დამა-
ლიანობის დამთავრების შემდეგ გადმოგზავნილ იქნა მატა-
რებლით—სოხუმის, ლანჩხუ-
თის, ჩხოროწყუს და სხვა
რაიონებიდან საქართველოს
ყოფილ მეფუტკრეობის. სად-
გურის მიერ 1934 — 35
წლებში.

საამანათო ნაყარს შევად-
გენთ ახალგაზრდა ფუტკრე-
ბისაგან, რომლებსაც მუშა
ფუტკრების სამუშაოზე
ყოფნის დროს ამოვაცლით ნან. 17. საამანათო ნაყრის შესაღები
და საამანათო გალიაში ჩავ-
ბერტყავთ, საამისოდ მომზადებულ თუნუქის და ფანერის
ძაბრის საშუალებით.



ნან. 18. საამანათო ნაყრების მომზადება ჩხოროწყუს მეგრული ფუტკრის
საჯიშე საფუტკრეში.

თითოეულ ოჯახიდან ჩაბერტყავენ სამანათო გალიაშვილი
3—4 ჩარჩოფუტკარს. ამ დროს თითოეულ ჩარჩოზე 100—200



ნახ. 19. სამანათო ნაყრების გასაგზავნად მომსადება ჩილოროწყვეტის მეგრული
ფუტკარის საჭირე საფუტკრეში.

გრამზე მეტი ახალგაზრდა ფუტკარი არ ჰის. ჩარჩოს ჩარჩოს ჩარჩოს ჩარჩოს ბერტყვის დროს მოღალე ფუტკრების უმრავლესობაზე გურინდება და სკაში მხოლოდ ახალგაზრდა ფუტკარი დარჩება. უნდა ვერიდოთ მამლების ჩაბერტყვას, რადგანაც ისინი მგზავრობას ძალიან ცუდათ იტანენ და იმავე დროს საამანათო ნაყარის წონას ზრდიან.

რაც ადრეული იქნება საამანათო ნაყარი, იმდენად მუშა ფუტკარი შეიძლება მცირე რაოდენობით იყოს, ამ შემთხვევაში ფუტკრის სუფთა წონა 800—1000 გრ იქნება, უფრო გვიანი 1.200—1.500 გრ.

თუ ფუტკარი იგზავნება ახლო მანძილზე ან გზაში 1—2 დღე-დამეზე შეტ ხანს არ იქნება, გავზავნის წინ შხაპით გალიაში მსხდომ ფუტკარს მივაპკურებთ შაქარწყალს, რომლითაც ფუტკრები ჩიჩახვს გაივსებენ და გზაში გამოიზოგავენ; ნაყრების ადგილზე მიტანისთანავე კიდევ ამავე წესით უნდა მიეცეს საკვები.

თუ ნაყრები შორ მანძილზე იგზავნებიან და გზაში რამდენიმე დღე დაპყოფენ, მათ ეძლევათ შაქარწყალი თუნუქის ჭურჭლით, რომელიც მოთავსებულია გალიის ზედა ნაწილში.

უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირის სამხრეთ რესპუბლიკებიდან და მხარეებიდან ჩრდილოეთ მხარეებში გარდაგზავნისას საამანათო ნაყრები თავსდებიან ფანერის მსუბუქ ყუთებში, რომელშიაც 1—1,5 კგ ფუტკარი და 2—6 ბუდის ჩარჩო ბარტყით და თაფლით თავსდება.

სამუშაოები გთაბარობის დროს

ფუტკრის სამთაბარო ჩამოყვანის მეორე დღეს, სკები უნდა გაიხსნას, მოსცილდეს სამთაბარო ბალეები და ჩატარებულ იქნას ფუტკრის ოჯახების დაწვრილებითი ხილვა. ფუტკრის გადაყვანის დროს, ხშირია შემთხვევა ჩარჩოების ადგილიდან დაძვრა და ფიჭის ჩაგლევა, რის შედეგად ხშირად დედა ფუტკარი იღუპება; ხშირად მუშა ფუტკრები სიცხისაგან დაიხოცებიან და სხვ. ყველა აღმოჩენილი ნაკლი სასწრაფოდ გამოსწორებული უნდა იყოს, რომ ღალიანობამ არ უსწროს და ფუტკრის მუშაობა არ შეფერხდეს.

რადგანაც მთავარი ლალიანობა ჩეენში ჩეულებრივ ხან მოქლე იცის, ამიტომ ყველა მოსამზადებელი სამცმელება
წინასწარ უნდა იქნას ჩატარებული. ადრევე უნდა მომზადეს
სათალარიგო სკები ნაყრებისათვის, უნდა შეიკრის ჩარჩოები,
გაიბას მავთული და ჩაიკრის ხელოვნური ფიტა. ადრევე უნდა
შეუდგეთ გეგმით გათვალისწინებულ დედების და ხელოვნურ
ნაყრების გამოყენას, მოვამზადოთ თაფლისათვის ტარა და სხვ.

ფუტკრის გადმოყვანისთანავე უნდა დაიდგას სასწორზე
საკონტროლო სკა (სასწორზე უნდა დაიდგას მძლავრი და
ჯანმრთელი ოჯახი). საკონტროლო სკა ყოველდღიურად სა-
ლამოთი უნდა იწონებოდეს და სკის ჩეენება სათანადო დავ-
თარში უნდა ჩაიწეროს. საკონტროლო სკა ისე უნდა იყოს
მოწყობილი, რომ წვიმამ არ დაასველოს, წინააღმდეგ შემთ-
ხვევაში სასწორის ჩეენება სწორი არ იქნებოდა; ასეთ საკონ-
ტროლო სკას მნიშვნელობა ეკარება იმ შემთხვევაში, თუ
საფუტკრის მახლობლად პატარა გამდინარე წყალი არ არის,
პირველ დღესვე უნდა დაიდგას მყუდრო და მზიან ადგილას
კასრი წყლით, რომელზედაც მიყუდებული უნდა იყოს ამო-
ლარული ფიცარი, სადაც ყოველთვის წყალი იდენს.

მეტ შემთხვევაში საფუტკრეს ათავსებენ სოფლიდან მოშო-
რებით, უშეუალოდ თაფლოვან მცენარეების მასივებთან, ამი-
ტომ მეფუტკრისათვის და თაფლის გამოსაწურად ადგილზე
უნდა მოეწყოს დროებითი ქოხი.

საუკეთესო ქოხი მზადდება დიქტის ფიცრისაგან. ქოხი
დასაშლელი და მსუბუქი უნდა იყოს, რომ გაადვილდეს მისი
გადატან-გადმოტანა. სამთაბაროდ კარგია აგრეთვე კარავი. სამთაბარო ქოხი პირველ დღესვე უნდა აიწყოს, რომ მისვ-
ლისთანავე შელაგდეს შიგ გასაფუჭებელი იარაღი და მასა-
ლები. თაფლის გამოწურვის დროს რომ ფუტკრებმა ქურდობა
არ დაიწყონ, საჭიროა ქოხი ან კარავი ისე მოეწყოს, რომ
შიგ ფუტკრები არ შევიდნენ.

მთავარ ლალიანობის გამოშვება

სამთაბარო ადგილას ლალიანობა ახლად უნდა დაიწყოს, ამი-
ტომ მეფუტკრის მიზანს ის უნდა შეადგენდეს, რომ ფუტკრის
ოჯახებმა არ იყარონ და არ დასუსტდნენ. ამისათვის ყოველგვა-



რი საშუალება უნდა იხმაროს ბუნებრივ ნაყრების გამოხტოვთხე
წინააღმდეგ. რადგანაც აქ ღალიანობა ცხელ ამინდებს ემთხვევა,
